

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
ენისა და კულტურის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

# ენა, თარგმანი, ლიტერატურა

\*ენა და კულტურა\*  
თბილისი  
**1999**

## კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტრადიციულ ლინგვისტურ ცნებათა გადააზრება

თანამედროვე კომუნიკაციაზე ორინეტირებულ ლინგვისტიკაში ტექსტი გაიგება როგორც უძღვეს რიგის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო ურთიერთობა ტექსტის დინამიკური გაგება – “ტექსტი მოქმედებაში”. წინა პლანზე სწავლა მისი ფუნქციური ასპექტის შესწავლას. ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში და ამიტომ მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გახსნა შეუძლებელია რეალური კომუნიკიციის პირობებისაგან იზოლირებულად. ამგვარად, ტექსტზე ორიენტაცია ნიშნავს ამავე დროს კომუნიკაციურ პროცესზე ორიენტაციას. ტიპიური სამეტყველო აქტი ქმნის საფუძველს სამეტყველო ნაწარმოების განსაზღვრული ტიპის აღმოცენებისა და ფუნქციონირებისათვის. ამიტომ ტექსტის ტიპოლოგიური ნიშნების კვლევა სამეტყველო აქტის პირობების მიხედვით წარმოადგენს ლინგვისტიკის უპირველეს ამოცანას.

უკანასკნელი წლების საენათმეცნიერო ლიტერატურა ინტენსიურად ეხება ტექსტის პრობლემას. განვითარდა ენათმეცნიერების ახალი დისკიპლინა, რომელსაც უწოდებენ ხან “ტექსტის ლინგვისტიკას”, ხან “ტექსტმცოდნებას”, “ტექსტის გრამატიკას” ან “ტექსტის თეორიას”. ამ განვითარების იმპულსები სხვადასხვა მხრიდან მოდის: ერთი მხრივ, ეს იყო შიდასაგნონბრივი მიზეზები, რომელთა მიხედვითაც ყურადღების გამახვილება ტექსტზე ხდება: არსებობს ენობრივი მოვლენების დიდი რაოდენობა, რომელთა ახსნაც მხოლოდ წინადადებით შეზღუდული

გრამატიკით შეუძლებელი იყო(მაგალითად: არტიკლის სელექცია, წინადადების დანაწევრება, პრონომინალიზაცია და პროადვერბილიზაცია, დროთა მონაცვლეობა, ანაფორა, კატაფორა, წინადადების მახვილი, ინტონაცია). მეორე მხრივ, ეს იყო ლინგვისტიკის მიღმა არსებული მოთხოვნები (უპირველეს ყოვლისა პრაქტიკული სფეროებიდან, როგორიცაა ბუნებრივი ენების ავტომატური დამუშავება, ენობრივი გაკვეთილი, მთარგმნელობითი პროცესის ავტომატიზაცია, თარჯიმანთა მომზადება, ინფორმაციის, დოკუმენტაციის სფეროები და ა. შ.), რომლებიც გულისხმობდა ტექსტთან მიმართებას. წამოჭრა პოსტულატი, რომ განხილულიყო არა წინადადება, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ ტექსტი როგორც უმაღლესი დონის ენობრივი ერთეული, რადგან ტექსტი დგას ლინგვისტიკის ნაწილობრივი სისტემების სათავეში. ტექსტთან მიმართვამ ტექსტის ლინგვისტიკაში წამოჭრა უამრავი საკითხი და უპირველეს ყოვლისა ის, თუ რა არის ტექსტი? რა საშუალებით იქმნება ის? რითი განსხვავდება ის წინადადებათა შემთხვევითი რიგისაგან? როდის არის ტექსტი დასრულებული? როგორ უკავშირდება ერთმანეთს წინადადებები ტექსტში? რა იერარქიული შიდა საფეხურები არსებობს წინადადებასა და ტექსტს შორის? რისთვის გამოხატავენ ტექსტს? რომელ არაენობრივ კონტექსტებშია ტექსტი აზრობრივიდ დასრულებული? როგორ ხდება ინფორმაციის გადამცემის მიერ ტექსტის პროგრამირება და აგება? როგორ გაიგება ის ინფორმაციის მიმღების მიერ? უკვე ამგვარი და მსგავსი საკითხების ჩამოთვლა ცხადად გვიჩვენებს “ტექსტის” ობიექტის სირთულეს. აქ, გარკვეულად ჩანს, რომ ლინგვისტიკის საკითხთა სფერო ვიწრო გაგებით გადაღიასელია, რომ აქ ჩართულია აგრეთვე საკომუნიკაციო სიტუაციის საკითხები. ასევე ფსიქოლოგიური და ფსიქოლინგვისტური პრობლემები.

ენათმეცნიერების დისციპლინების მხგავსად ტექსტის ლინგვისტიკაც იყოფა ტექსტის სემანტიკად, ტექსტის პრაგმატიკად, ტექსტის სინტაქსად და ტექსტის ფონეტიკად. ტექსტების სემანტიკის ობიექტს წარმოადგენს ის, თუ რა არის ტექსტის მნიშვნელობა და როგორ ხდება მისი შექმნა. ტექსტის პრაგმატიკა იკვლევს იმას, თუ რა ფუნქცია აქვს ტექსტს არაენობრივ კონტექსტში. ტექსტის სინტაქსის ობიექტს წარმოადგენს ის, თუ ტექსტის მნიშვნელობა როგორ არის სინტაქსურად გამოხატული, ხოლო ტექსტის ფონეტიკის ობიექტია ის, თუ როგორ ხასიათდება ტექსტი ფონეტიკურად. ოთხივე დისციპლინა შეიძლება გავიგოთ როგორც ინტეგრაციული ტექსტმცოდნების სხვადსხვა განხომილება. ტექსტის სინტაქსი და ტექსტის სემანტიკა ხშირად ტექსტის გრამატიკად არის წარმოდგენილი, მაშინ როცა პრაგმატიკა არ შეიძლება სრულყოფილად მივაკუთვნოთ ლინგვისტიკას. სწორედ ამიტომ, ტერმინი “პრაგმატიკა” ხანდახან შეიცვლება ტერმინით “პრაგმალინგვისტიკა”, როცა ის ენობრივ ასპექტს ეხება.

დღევანდელი ტექსტის ლინგვისტიკის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს რიტორიკა, სტილისტიკა და ”წინადადების ფუნქციური პერსპექტივის“ თეორია. რიტორიკა, ნაკლებად იყო დაინტერესებული ყოფითი ენით და თავის ნიმუშებს კლასიკოს მწერლებთან პოულობდა. წინადადების ფუნქციური პერსპექტივა პრალის სკოლის მიერ დამუშავებული თეორიაა, რომელიც იკვლევდა თემა-რემატულ მიმართებებს მხოლოდ ერთ ასპექტში, ექსპლიციტურ გრამატიკასა და ენობრივ მოღვაწის ჩართვის გარეშე. სტილისტიკის ვიწრო სფეროში ფაქტიურად ბევრი რამ იყო განხილული, რაც ტექსტებს შეეხებოდა, ხანდახან იმ წინამირობით, რომ წინადადება გრამატიკის ობიექტი იყო, მაგრამ წინადადების ზემოთ არსებული ყველა მიმართება სტილისტიკის სფეროს განვითვნებოდა. ტექსტის

ლინგვისტიკის ნამდვილი იმპულსები დღევანდელი მნიშვნელობით მომდინარეობს პარისიდან, შემდგომ მან გადმოინაცვლა გერმანულებოვან სფეროზე და იგი მომდინარეობდა პარტმანიდან; შემდეგ უნდა მოვისხებით ისეთი ლინგვისტები, როგორებიც არიან უპირველეს ყოვლისა იზენბერგი, პაიდოლფი, შტაინიცი, აგრიკოლა, პფიუცე და ა. შ. ბოლო წლების მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ტექსტის შესახებ, ერთი მხრივ, მოწმობს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც დღეს ლინგვისტიკა ტექსტს ანიჭებს, მეორე მხრივ კი იმაზე, რომ ხშირად არაერთგაროვანი სურათი გვაქვს, როცა ცნება “ტექსტი” განსაზღვრავენ. აյ გვაქვს ხშირად განსხვავებული ენობრივ-თეორიული ამოსავალი პოზიციები, მეთოდოლოგიური წინაპირობები, ასევე განსხვავებული მიზანდასახულობა და სამუშაო პიპოთებული. ხშირად განსხვავებას აღილი აქვს თვით ტექსტის ობიექტის განსაზღვრაში. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარება ისტორიულად დაკავშირებულია ენათმეცნიერების განვითარების ხოგად ტენდენციებთან. განსაკუთრებით 1970 წლიდან ლინგვისტიკის

“პრაგმატულ-კომუნიკაციურ ორიენტაციასთან”, ანუ წმინდა სისტემური ლინგვისტიკიდან კომუნიკაციაზე ორიენტირებული ენათმეცნიერების სფეროს გაფართოებასთან, რომელიც თავის გამოხატვას პპოვებდა არა მარტო “სისტემურ-გარეგანი” მოვლენების ჩართვაში, არამედ ისეთი დისციპლინების აღმოცენებაში, როგორიცაა სოციოლინგვისტიკა,

ფსიქოლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სამეტყველო აქტის თეორია. 1970 წლიდან უკვე იყო ცდები, ჩაერთოთ კომუნიკაციურ მოღვაწეობაში და ეს უკანასკნელი კი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა ანსამბლში; იყო აგრეთვე ცდები, რომ ენის გამოყენება აუხსნათ ენობრივი და არაენობრივი კავშირებიდან და ეს უკანასკნელი სოციალური და საზოგადოებრივი ინტერაქციის კავშირებიდან. ამ კომპლექსურ კავშირებს

აქამდე არსებული ლინგვისტიკა ( უპირველეს ყოვლისა სოციურიდან ხომსკიმდე) ვერ ხდიავდა: იგი იფარგლებოდა მხოლოდ შიდა ენობრივი სისტემით და გამორიცხავდა სისტემის გამოყენებას კონკრეტულ საკომუნიკაციო პროცესებში, ამიტომ იგი მუშაობდა მხოლოდ აბსტრაქტულ, იზოლირებულ და რედუცირებულ ობიექტზე, ისე რომ არ აცნობირებდა, თუ რატომ და საიდან ახდენდა აბსტრაქტის. ცხადია, რომ ენა არ არის თვითმიზანი, არამედ საზოგადოებრივი კომუნიკაციის ინსტრუმენტია. ტექსტთან მიმართვა მოტივირებულია ენაზე როგორც საზოგადოებრივ-საკომუნიკაციო საშუალებაზე თანმიმდევრული გააზრებით, რადგან კომუნიკაცია-თუ ის ენობრივია-წარმოებს ყოველთვის ტექსტებში, და არა იზოლირებულ წინადადებებში ან სიტყვებში. ლინგვისტური ასპექტიდან ამაზე განსაკუთრებით მიუთითებდა პარტმანი, როცა ტექსტს განიხილავდა როგორც “ამოსაგალ ენობრივ ნიშანს” და მოითხოვდა, რომ ლინგვისტიკა უნდა ამოდიოდეს “ამოსაგალი ენობრივი ნიშანს” ტექსტობრიობაში; რომ ენა ვლინდება და ფუნქციონირებს მხოლოდ ტექსტის ფორმით, რომ ლინგვისტიკის მიერ დღემდე წინა პლანზე წამოწეული ერთეულები (ფონემა, მორფემა, სიტყვა და წინადადება) თავისთვალ არც არსებობს და არც აზრი გააჩნიათ, არამედ დამოკიდებულია საფუძველში არსებულ ერთეულებზე, რომლებიც ანიჭებენ მათ აზრს, ანუ ფუნქციისუნარიანობას. რადგან ენა ვლინდება არა როგორც აბსტრაქტულ ნიშანთა სიმრავლე, არამედ მხოლოდ მის კომუნიკაციურ ფუნქციაში. ლინგვისტიკამ ენა ყოველთვის უნდა გამოიკვლიოს ტექსტებში, ანუ ერთიან კომპლექსებში, რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო ფუნქციას; მან უნდა გამოიკვლიოს ენა ყოველთვის საზოგადოებრივ-კომუნიკაციური ტექსტების ფონზე. ენობრივი სისტემის დამკვიდრებით საკომუნიკაციო მოღვაწეობაში და ამ უკანასკნელის

სოციალურ ინტერაქციაში, ტექსტების ლინგვისტიკა ნაწილობრივ დაკავშირებულია სამეტყველო აქტის თეორიასთან, ე. ი. ის არის კიდევ ერთი საფუძველი სისტემური ლინგვისტიკის გადალახვისა.

ტექსტის ლინგვისტიკამ განვითარების სანგრძლივი გზა გაიარა. ეს გამოხატულებას პოულობს ტექსტის განსხვავებულ დეფინიციებში, რომლებიც წარმოშვა ლინგვისტიკაში. ამ დეფინიციისათვის უმცტესი ნაწილისათვის მთავარი და არსებითია მტკიცება, რომ ტექსტი წარმოადგენს წინადადებათა კოპერენტულ რიგს. ამ მტკიცებაში სამი მომენტია: 1. (ტექსტი თავის არსში დამოკიდებული არ არის წერილობით ან ზეპირ რეალიზაციაზე, 2. (ტექსტი განეკუთვნება ორი ნიშანი: ის შედგება წინადადებებისაგან/უფრო ზუსტად ტექსტებისაგან/, როგორც მისი ერთეულებისა ან ელემენტებისაგან; ეს წინადადებები კოპერენტულია, 3. (ტექსტის ლინგვისტიკის გადამწყვეტი პრობლემა მდგომარეობს იმ მითითებაში, თუ რაში მდგომარეობს ეს კოპერენცია, ანუ რა პირობებში იქცევა წინადადებათა განსაზღვრული რიგები წინადადებების კოპერენტულ რიგებად /ანუ ტექსტებად/. სწორედ ამ საკითხეში განსხვავდება ტექსტის სხვადასხვა დეფინიციები, რომელთაგან რამდენიმეს გამოყოფით: იზენბერგის აზრით, ტექსტი არის “წინადადებათა რიგი”, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ტექსტობრივი საშუალებებით. პარვეგი თვლის, რომ ტექსტი არის ენობრივი ერთეულების კონსტიტუირებული თანმიმდევრობის განუწყვეტელი პრონომინალური ბმულობა. შტაინიცის აზრით ტექსტი აგებულია რეფერენციული იდენტურობით, ანუ სედაპირული კონსტიტუენტების ერთობლივი კორეფერენციით.

პუნქტე თვლის, რომ ტექსტი არის წინადადებების აზრობრივად ( სემანტიკა) და მიზნობრივად (პრაგმატიკა) აგებული წინადადებათა სიმრავლე, რომელთა შორისაც არსებობს

მნიშვნელობისა და ფუნქციების მქონე რელაციები, ანუ სტრუქტურული ერთობლიობა, რომელიც როგორც შედარებით დასრულებული ლინგვისტური ერთეული ცნობიერებაში ასახავს კომპლექსურ რეალობას. ტექსტი წინადაღების მოწესრიგებული სიმრავლეა, რომლებიც ქმნიან ერთად თვებას. ტექსტი არის წინადაღებების სწორხაზოვანი რიგი, რომლებიც დაკავშირებულია განსაზღვრული საშუალებებით და მოწესრიგებულია განსაზღვრული წესით. ის არის წინადაღებების თანმიმდევრობა, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულია გრამატიკულად, მაგრამ ყველა შემთხვევაში სემანტიკური ეკვივალენტურობით და იმპლიციტური ზოგადლოგიკური კონექსიებით /აგრიკოლა/. ტექსტი არის მნიშვნელოვან ქმედებათა კოჟერენცული რიგი, კომუნიკაციური ქმედებების დროული მონაცვლეობა, რომელთა რეალიზაციისას იქმნება წინადაღებები/იზენბერგი/. ტექსტი არის საკომუნიკაციო აქტში აზრის ენობრივად მანიფესტირებული ნაწილი /გროსე/. ტექსტი-როგორც ადამიანის კომუნიკაციური მოღვაწეობის რეზულტატი-არის კომპლექსური ენობრივი ნიშანი, ენობრივი სისტემის წესებით რეალიზირებული ცნობიერების შინაარსებისა და ბეჭრითი თანმიმდევრობის დაკავშირება/ფივეგერი/. ტექსტი არის საკომუნიკაციო ან ინტერაქციული ტიპის რეალიზატორი. ის არის “ტექსტუალობის” სტრუქტურის კონკრეტული რეალიზაცია განსაზღვრულ საკომუნიკაციო გარემოში, ის არის საკომუნიკაციო აქტით გამოხატული ენობრივი კომპონენტი, რომელიც თემტურად ორიენტირებულია და ასრულებს შეცნობად საკომუნიკაციო ფუნქციას/ აქვს შეცნობადი საილოკური პოტენციალი /შმიდტი/ მიუხედავად ტექსტის მრავლილცხოვანი დეფინიციის არსებობისა, რომლებიც ხშირად განსხვავებულ ხასითს ატარებენ და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული ერთიანი ტექსტის დეფინიცია, მაინც შეიძლება გამოიყოს ის ძირითადი

ძოშეს ბი, რომლებიც მნიშვნელოვანია და წარმო დგნენ “გატექსტების” პირობებს, ანუ ეს ის პირობებია, რომლებიც უნდა შესრულდეს, რათა წინადაღებათა რიგი აღვიქვათ როგორც ტექსტის I/სარევერენციო კავშირის ერთიანობა/ ამას ემყარება არტიკლის სელექცია და პრონომინალიზაცია, ანაფორული და კატაფორული მიმართებები/, 2/ლექსიიკალიზაციის ერთიანობა/ ან მარტივი განმუორებით, ან პრონომინალიზაციი ან პროადევრებიალური სუბსტიტუციით ან სხვა ლექსიერული ვარიაციით/ 3/საკომუნიკაციო შეტყობინების პერსპექტივის ერთიანობა, თემა-რემა-დანაწავრების ერთიანობა/ რომელიც გამოიხატება მაგალითად სიტყვათა წყობასა და მახვილში/; 4/ ტემპორალური სტრუქტურის ერთიანობა, 5/ ზემდგომი აზრის ერთიანობა; კლასიფიკაციის ერთობლივი ინსტანცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა ისეთ წინადაღებებთან არის საჭირო, რომლებიც ფორმალურად სავსებით დაუკავშირებლად დგას ერთმანეთის გვერდით, და მაინც ინტუიციურად გაიგება ტექსტებად. ერთიანობა გატექსტების პირობებში არის ტექსტის კოჟერენციის წინაპირობა და ამის შედეგად ტექსტის კონსტიტუციისა. მასზე მოქმედებს გატექსტების სხვადასხვა საშუალებები, რომელთა ლოკალიზაცია ხდება სხვადასხვა დონეებზე. I/გატექსტების გრამატიკულ-სინტაქსურ საშუალებებს განეკუთვნება ნაცვალ სახელები და საერთოდ პროსიტყვები: არტიკლები, წინადაღებების წევრთა ადგილი, დროთა შერჩევა, კავშირები და სხვა, მათ განეკუთვნება ზედაპირული კონსტიტუენტების კომერცია და ა. შ., 2/ გატექსტების სემანტიკური საშუალებები ემყარება იზოტოპიას. ტექსტი ვლინდება როგორც სხვადასხვა ტექსტებების სემანტიკური ნიშნების შეთავსებადობის ხისტემა. აზრი მაშინ არის იზოტოპიური, თუ მის ულემენტებს გააჩნიათ სულ ცოტა ერთი ერთობლივი კონცეპტუალური სემა. ამ მნიშვნელობით ლაპარაკობენ

ხემანტიკურ ეკვივალენტობაზე და ტოპიკებზე და ტოპიკურ რიგებზე. 3/ გატექსტების კომუნიკაციურ საშუალებებს განცემული ინსტანცია, რომელიც საკომუნიკაციო პარტნიორებთან სპეციალური/ არაენობრივი/ ცოდნის ხისტემებს ვარაუდოს, რათა წინადადებათა რიგი განვმარტოთ კოპურენტულად. ამ ზემდგომი აზრის ერთიანობა/ რომელიც ხანდახან აღინიშნება როგორც ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტი/ იმიტომ არის საჭირო, რადგან ტექსტები ხანდახან სწორედ მათი საშუალებით ხდება კოპურენტული, მაშასადამე ტექსტების შორის არ არსებობს სემანტიკური ეკვივალენტურობა. ყველაფერი ეს არ არის საკმარისი, რათა ტექსტი სრულყოფილად დავახახასითოთ ტექსტიდ; ამისათვის ის საჭიროებს ტექსტის შესაბამის ფუნქციას, ანუ ილოგუციის პოტენციალს და ამის შესაბამისად ახსნას ქმედებისა და მოღვაწეობის შესაბამისი კავშირებიდან. მაგრამ ისინი არ შეიძლება აღვნიშნოთ როგორც გატექსტების საშუალებები; ამდენად გატექსტების საშუალებები მართალია საჭირო, მაგრამ ახსნის არასაკმარისი ინსტანციაა ტექსტის კონსტიტუციისათვის. გატექსტების საშუალებათა სხვადსხვა სახეობები სხვადასხვაგარად არის გამოკვლეული. ძირითადი ყურადღება ეთმობა გატექსტების სინტაქსურ საშუალებებს, შემდგომ გატექსტების სემანტიკურ-ექსლიციტურ საშუალებებს, ნაკლებად არის გამოკვლეული კომუნიკაციურ-პრაგმატული ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ გატექსტების პროცესზე. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ არსებობს ტექსტთან მიღობის ორი მიმართულება: 1/ენობრივ-სისტემური, და 2/ კომუნიკაციაზე ორიენტირებული. პირველი ასაქტი გულისხმობს იმას, რომ ხდება აქამდე არსებული ლინგვისტიკის გაფართოება და ტექსტის ლინგვისტიკისა და პრაგმალინგვისტიკის როგორც დამატებითი ლინგვისტური დისციპლინების ჩართვა-

ტექსტის აღწერა ხდება წინადადების ანალოგიურად, და მისი ასენა წარმოებს სინტაქსური და სემანტიკური კოპერენციის პირობების როგორც წინადადების რიგის საფუძველზე, არსებული წაინადადების გრამატიკა იქცევა ტექსტის გრამატიკად. კომუნიკაციაზე როიენტირებული ასპექტით კი ლინგვისტიკა ხევა განხომილებას იძენს. აქ ადგილი აქვს აქამდე არსებული თეორიული მოდელის რევიზიას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტი იწარმოება კომუნიკაციიდან და სოციალური ინტერაქციიდან, და ამის შესაბამისად იქცევა სიდიდედ, რომლის განხომლება მხოლოდ ენობრივ-იმანენტურად ადარ შეიძლება. კომუნიკაციური თვალსაზრისის საფუძველზე შეიძლება დამტკიცდეს, რომ არსებობს მოვლენები, რომლებიც ვლინდება მხოლოდ ტექსტებში და არა წინადადების ფარგლებში. მხოლოდ ამ ასეკექტით ვლინდება ტექსტი როგორც დროულად დანაწევრებული ერთიანობა, როგორც ენობრივ ქმედებათა მონაცემლება. მაგრამ ტექსტის ამ კომუნიკაციური თვალსაზრისის არგუმენტიდან არ შეიძლება გაპეთდეს შედეგი დასკვნები: 1/ განხილვებამ ამ ორ თვალსაზრისს შორის აუცილებლად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ ისინი აღვიტვათ როგორც ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები; ისინი ერთმანეთთან ალტერნატიულ მიამრთებაში კი არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ, როგორც მაგალითად სტრუქტურული აღწერა უნდა ჩართულ იქნას ფუნქციურ აღწერაში. 2/ მეორე თვალსაზრისის უპირატესობაში არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ ტექსტის ლინგვისტიკა განვიხილოთ როგორც ენობრივი სისტემის ლინგვისტიკის საპირისპირო და გრამატიკიდან იზოლირებული, 3/ ტექსტის აუცილებელი ჩართვით ქმედებების რთულ კავშირებში არ უნდა დავასკვნათ ის, რომ ტექსტის თეორია გათანაბრებულია ენობრივი კომუნიკაციის თეორიასთან. ასეთი გათანაბრება დაუსაბუთებელია, რადგან ტექსტი

არის მხოლოდ საკომუნიკაციო მოღვაწეობის ენობრივი პროდუქტი, მაგრამ მასთან მისი იდენტიფიკაცია არ შეიძლება. ჩვენის აზრით არ არის გამართლებული ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის თეორიის განცალკევება: მაშინაც კი, როცა ტექსტი უნდა აიხსნას ქმედებათა კონტექსტებიდან, ის სრულყოფილად მაინც არ მოიცავს როგორც ენობრივი რეალიზაციონი ამ კომუნიკაციურ და ინტერაქციონალურ კავშირებს.

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ტექსტები როგორც ენობრივ-კომუნიკაციური მოღვაწეობის პროდუქტები შეიძლება მხოლოდ ამ მოღვაწეობის პარამეტრებზე დამოკიდებულებით იქნას გამოკვლეული. მხოლოდ კომუნიკაციური ოვალსაზრისით შეიძლება ტექსტი გაგებულ იქნას როგორც დროულად დანაწევრებული ერთეული, როგორც ენობრივ ქმედებათა მონაცემებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გაგანცაძე-კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია, სადოქტორო დისერტაციის ავტორებერაციი, თბილისი, 1986.
2. ვ. ფურცელაძე-ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება, ნაწ. I და ნაწ. II, თბილისი, 1998.
3. G.Helbig-Zur Stellung und zu Problemen der Textlingistik, in: Zeitschrift "Deutsch als Fremdsprache", 17. Jahrgang, 1980, H. 5, Leipzig.
4. E. Agricola-Semantische Relationen im Text und im System, Halle, 1969.
5. D. Viehweger-Semantische Merkmale und Textstruktur, in: Probleme der Textgrammatik, Berlin, 1976.
6. H. Isenberg-Überlegungen zur Texttheorie, in: ASG-Bericht, n.2, Berlin, 1968.
7. S. J. Schmidt-Texttheorie, München, 1973.

8. P. Hartmann-Texte als linguistisches objekt, im: Beiträge zur Textlinguistik, München, 1971.
9. K. Brinker-Aufgaben und Methoden der Textlinguistik, im: Wirkendes Wort, 1971.
10. E. U. Große-Text und Kommunikation, Stuttgart, Berlin, Köln, Mainz, 1976.

**Marina Dshaschi**

## Die kommunikative Linguistik und die Umdeutung der traditionellen linguistischen Begriffe (Zusammenfassung)

In der modernen Linguistik, die auf die Kommunikation orientiert ist, wird der Text als dynamische kommunikative Einheit der höchsten Ebene verstanden, mit dessen Hilfe der kommunikative Verkehr erfolgt; der Text funktioniert also in konkreten Sprechakten. Für die Untersuchung der Erscheinung "Text" gibt es zwei unterschiedliche Ansätze: 1/ den sprachsystematischen Ansatzpunkt, und 2/ den kommunikationsorientierten Ansatzpunkt darunter ist der zweite erklärungsstärker und verleiht der Textlinguistik eine völlig neue Dimension: Texte als Produkte der sprachlich-kommunikativen Tätigkeit können nur in Abhängigkeit von Parametern dieser Tätigkeit studiert werden. Nur in der kommunikativen Auffassung kann der Text als zeitlich aufgegliederte Einheit, als Abfolge von sprachlichen Handlungen verstanden werden.